

ფაღავა ე.ყ., მათეშვილი მ.ი, მჭედლიშვილი ი.მ.

ხარისხობრივი კვლევის თავისებურებები

ეპიდემიოლოგიის და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

ხარისხობრივი კვლევა გულისხმობს არაციფრული მასალის შეგროვებას და ანალიზს, რაც საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი განმარტებით, ხარისხობრივი კვლევა ეს არის “საუბრის ან საუბრის შედეგად მიღებული ტექსტური მასალის სისტემატური შეგროვება, ორგანიზება და ინტერპრეტაცია” (9). ხარისხობრივ კვლევას აგრეთვე “ნატურალისტურად” თვლიან, რადგან მის შესასრულებლად არ არის საჭირო “ლაბორატორიაში” დარჩენა, მეცნიერები თვითონ მიდიან იქ, სადაც ქმედებაა, სადაც მათ შეუძლიათ უშუალოდ შეაგროვონ მონაცემები, გაესაუბრონ მონაწილეებს, დააკვირდნენ ქცევას (3). ამ ტიპის კვლევები გვიმარტივებს, გავაცნობიეროთ ინდივიდების ქცევის მოტივი და ასევე გვამღევეს საშუალებას, დაკვირვების გზით, უშუალოდ შევაფასოთ მათი ქცევა (4). ეს არის კვლევა, რომელიც საკვლევი თემის ირგვლივ გვამღევეს “მდიდარ აღწერილობასა და ნაყოფიერ ახსნა-განმარტებებს” (1). არაციფრულ მონაცემებში იგულისხმება ტექსტი, გამოსახულება, აუდიო და ვიდეო მასალა და ა.შ.

განსხვავება და მსგავსება რაოდენობრივ კვლევასთან

როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევები გვამღევეს ინფორმაციას ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ, ამასთან ორივე ტიპის კვლევის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მკვლევარის უნარებსა და ცოდნას, სწორედ მოახდინოს მონაცემთა ინტერპრეტაცია (4). თუმცა, მათ შორის არის არსებითი განსხვავება. კერძოდ, რაოდენობრივი კვლევა საკითხის ირგვლივ იძლევა მხოლოდ რიცხობრივი მონაცემებით მსჯელობის შესაძლებლობას, ხოლო ხარისხობრივი კვლევა სრულყოფს ყველანაირ მონაცემს და საკვლევი თემის დეტალური ანალიზის საშუალებას გვამღევეს (8). რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, ხარისხობრივ კვლევებში წინასწარ არ არის განსაზღვრული ამონარჩევის ზომა. შერჩევის პროცესი წყდება მაშინ, როდესაც მიღწეული იქნება ყველა შესაძლო ვარიანტი და კვლევის გაგრძელება ვეღარ მოგვცემს ახალ ინფორმაციას - მიიღწევა ე.წ. “სატურაცია” (10,14,15). ძირითადი განსხვავება კი არის ის, რომ რაოდენობრივ კვლევებში შეგვიძლია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი შედეგების მიღება, ხოლო ხარისხობრივ კვლევებში – არა (17). აგრეთვე, ვერ ხერხდება მიღებული შედეგების გენერალიზაცია მთლიან პოპულაციაზე, როგორც სწორად შესრულებული რაოდენობრივი კვლევების დროს (4,8). ამავე დროს, ხარისხობრივი კვლევა საშუალებას გვამღევეს, სიღრმისეულად შევისწავლოთ საკითხი, ქცევის მიზეზები, შევაფასოთ რაოდენობრივ კვლევაში გამოსაყენებელი ინსტრუმენტი და ბევრი სხვა.

ისევე, როგორც რაოდენობრივ კვლევაში, აქაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეთიკის პრინციპების დაცვას. კვლევის დაწყებამდე მონაწილეებს აუცილებლად უნდა აუხსნან კვლევის არსი, თუ კეთდება აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი - ესეც უნდა იყოს წინასწარ გამოცხადებული. მონაწილეებს აქვთ უფლება, უარი განაცხადონ კვლევაში მონაწილეობაზე. კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, მკვლევარმა უნდა უზრუნველყოს

კვლევის მონაწილეთა ანონიმურობა, რისთვისაც საჭიროა ჩანაწერებიდან ამოღებულ იქნას ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია. როდესაც ხდება ინტერვიუების ტრანსკრიპცია, მონაწილეებს სპეციალური კოდები ენიჭება (ან ხდება ინიციალების გამოყენება).

კვლევის დიზაინი (მეთოდები და მეთოდოლოგიები)

ხარისხობრივი კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგიები ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში უფრო დაიხვეწა. მეთოდოლოგიებიდან უმეტესად იყენებენ ეთნოგრაფიას (Ethnography), ნარატიულ კვლევას (Narrative), ფენომენოლოგიურ მიდგომას (Phenomenology), დასაბუთებულ თეორიას (Grounded Theory) და შემთხვევების Seswavlas (Case Study) (2).

❖ ეთნოგრაფია არის სოციალური ქცევის, ინტერაქციის და აღქმის შესწავლა, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ჯგუფებში, გუნდებში, ორგანიზაციებსა თუ საზოგადოებებში. ამ ტიპის ხარისხობრივი კვლევის შესრულებისას მკვლევარი ვალდებულია, სრულად შეისწავლოს სამიზნე მონაწილის გარემო, რომ გასაგები გახდეს, თუ რა მიზანს ემსახურება მონაწილის ქცევა, რა უდევს მას საფუძვლად, რა გამოწვევები და მოტივაციები აქვს ცხოვრებაში. ეთნოგრაფია სათავეს იღებს კულტურული ანთროპოლოგიიდან. ასეთი ხასიათის კვლევა მრავალი წლის განმავლობაშიც შესაძლოა მიმდინარეობდეს. დაკვირვების, ინტერვიუების გზით მიღებული და დოკუმენტური მონაცემების გამოყენებით ეთნოგრაფიული კვლევა გვთავაზობს ისეთ ხარისხობრივ მიდგომას, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა სოციალური ფენომენის, ეს იქნება მოქმედებები, ქცევა, ურთიერთქმედება თუ შეხედულებები, შესწავლას და მათ შესახებ დეტალური და ყოვლისმომცველი ანგარიშების წარმოებას (2,13).

ნარატიული კვლევა გულისხმობს რაიმე მოვლენის შესახებ ერთი ან რამდენიმე ადამიანისგან თანმიმდევრული, სანდო ინფორმაციის მიღებას. საჭიროა სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება, ასევე დოკუმენტებისა და თემების დამუშავება. ამ ყველაფრის შედეგად იქმნება ინდივიდუალური მოთხრობა, რომელშიც მოკლედ ასახულია ცხოვრების ის ფაქტები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია კვლევის მონაწილეზე და, ასე ვთქვათ, ჩამოაყალიბა ის ისეთ ადამიანად, როგორც არის რეალურად. ინტერვიუების ხანგრძლივობა ხშირად მერყეობს და შესაძლოა მიმდინარეობდეს კვირების, თვეების ან წლების განმავლობაში, მაგრამ საბოლოო მონათხრობში ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა არ არის საჭირო. მოთხრობას შეგვიძლია დავურთოთ ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორიებიც, რომლებიც კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მონათხრობის მთავარ, პრობლემურ არსს (2).

❖ ფენომენოლოგია ეხება გამოცდილების შესწავლას. ფენომენოლოგიური მიდგომები ხაზს უსვამს პირადი პერსპექტივისა და ინტერპრეტაციის მნიშვნელობას. მისი გამოყენების ძლიერი მხარეა სუბიექტური გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე შესაძლებელია მოტივაციისა და ქმედებების შესახებ ცოდნის მიღება. ფენომენოლოგიური მიდგომები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ცალკეულ პირებთან, ასევე შერჩეულ ჯგუფებში. ფენომენოლოგიურად დაფუძნებულ კვლევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ინტერვიუები, საუბრები, მონაწილეებზე დაკვირვება, მოქმედების კვლევა, ფოკუს ჯგუფებში შეხვედრები და პირადი ტექსტების ანალიზი (2).

❖ დასაბუთებული თეორიის მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა ხდება მოვლენების მიღმა. ეს კი მიიღწევა საკვლევო ფენომენის სიღრმისეული შესწავლითა და მონაცემთა სისტემური ანალიზით. დასაბუთებული თეორია უფრო ხსნის პროცესს და არ ემსახურება მის შესახებ თეორიული მასალის გადამოწმებას. სწორედ ამიტომ, დასაბუთებულ თეორიას წინ არ უძღვის რაიმე კვლევის პროცესი, რომ თავიდან იყოს აცილებული გარკვეული თეორიების გავლენა მკვლევარზე. დასაბუთებული თეორია პირველად გლეიზერმა და შტრაუსმა შექმნეს 1967 წელს, მაგრამ მას შემდეგ ამ მიდგომამ მრავალი ცვლილება განიცადა. სიფრთხილესა და სიჭიროს, როდესაც დასაბუთებულ თეორიას ვეძებთ, უნდა დავიცვათ ყველა წესი და შესაბამისად შევასრულოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ასეთი კვლევა კრიტიკის და უარყოფის მიზეზი გახდეს (2,5).

❖ შემთხვევის შესწავლის მეთოდი საშუალებას აძლევს მკვლევარს, შეისწავლოს მონაცემები კონკრეტულ, ვიწრო ჭრილში, მაგალითად, შეიძლება შემოიფარგლებოდეს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები პირებით. შემთხვევების შესწავლა გულისხმობს შეზღუდული რაოდენობის მოვლენებისა და პირობების დეტალურ ანალიზს. შემთხვევების შესწავლის დროს ყურადღება უმეტესად ექცევა რეალური სიტუაციების სირთულეების ახსნას (2). იმ მკვლევარებმა, რომლებიც იყენებენ შემთხვევის შესწავლის მეთოდს, ნათლად უნდა დაანახონ მკითხველს, თუ რა უპირატესობა ჰქონდა ასეთი მიდგომის გამოყენებას. ამისათვის საჭიროა, მკვლევარმა დეტალურად და უფრო სიღრმისეულად გადმოსცეს შემთხვევის ხასიათი და გარემო, სადაც ჰქონდა აღნიშნულ შემთხვევას ადგილი (7).

კვლევის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა შეძლოს ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა საკვლევ ჯგუფთან თუ კონკრეტულ ინდივიდებთან. ასევე მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს საკვლევო ჯგუფის მახასიათებლები, როგორცაა ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური გარემო და/ან სოციალური გარემოებები. აგრეთვე საინტერესოა, თუ სად და რა პირობებში მიმდინარეობს მათზე დაკვირვება, ჯგუფური დისკუსიებისა და ინტერვიუების წარმართვის პროცესი (8).

ხარისხობრივი კვლევის დროს ინფორმაციის მიღების საუკეთესო მეთოდია ინტერვიუება, რაც გულისხმობს კვლევის მონაწილეებთან გასაუბრებას წინასწარ განსაზღვრულ საკითხ(ებ)ზე ან ზოგადად, თუ ზუსტი პრობლემა არ ვიცით და გვსურს მისი გამოვლენა. მკვლევარს ესაჭიროება განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ სწორი აქცენტები გააკეთოს და რაც შეიძლება მართებულად შეადგინოს კითხვები, რათა საუბარი სწორი მიმართულებით წაიყვანოს და შეძლოს მაქსიმალურად სასარგებლო ინფორმაციის მიღება. ინტერვიუების მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როდესაც საქმე გვაქვს წარსული მოვლენის თუ მოვლენების შესწავლასთან, როდესაც პირდაპირი დაკვირვების წარმოება ფიზიკურად შეუძლებელია, აგრეთვე ქცევის მიზეზების გასარკვევად (3). უნდა მოხდეს ინტერვიუს ჩაწერა (ვიდეო არ არის აუცილებელი), თუმცა რესპონდენტი აუცილებლად უნდა იყოს გაფრთხილებული, რომ საუბარი იწერება (6). ახლანდელი დისტანციური ურთიერთობის ხანაში მისაღებია ინტერნეტ პლატფორმების, როგორცაა ძოომ, გოგლე მეეტ, მიცროსოფტ თეამს და ა.შ. შემდეგ ხდება საუბრის ტრანსკრიპცია და ანალიზი. მონაწილეების ვინაობა ანონიმურად

ინახება. ზოგჯერ ინტერვიუ მიმდინარეობს წინასწარ მომზადებული საკითხების გათვალისწინებით (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ).

ხარისხობრივი კვლევის დროს საკითხის შესწავლის მიზნით ასევე მიმართავენ ფოკუს ჯგუფებში მსჯელობას. მის გამოყენებას საფუძვლად უდევს ინფორმაციის შეგროვება კვლევის მონაწილეებისგან, სადაც მათ ექნებათ მოსაზრებების გაცვლისა და ერთმანეთის შეხედულებების გაზიარების საშუალება. არ უნდა დაგვავიწყდეს ფასილიტატორის როლი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა მონაწილე იყოს ჩართული დისკუსიაში. აქაც ხდება საუბრის ჩაწერა, შემდეგ მისი ტრანსკრიპცია და ანალიზი (16). ფოკუს ჯგუფების გამოყენება მიზანშეწონილია როგორც კვლევის დასაწყისში, ასევე კვლევის ბოლოში, რაც დაეხმარება შეგროვებული მონაცემების შემდგომ შესწავლას, დამატებითი ინფორმაციების მოპოვებას, დაზუსტებასა და ინტერპრეტაციას. კარგია არა მარტო საკითხის შესასწავლად, არამედ გარკვეული ინსტრუმენტის, მაგ., კითხვარის შესაფასებლად (16).

მკვლევარმა შეიძლება ინფორმაცია მიიღოს დაკვირვების გზითაც, თუმცა, აღნიშნული კვლევის მეთოდის გამოყენება ყველა შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი. უმეტესად მას იყენებენ ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად და ის ხორციელდება როგორც ერთი, ასევე რამდენიმე მკვლევარის მიერ (3).

აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ხარისხობრივი კვლევის შედეგად მიღებული მასალის ანალიზში სუბიექტურობის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად მონაწილეობს რამდენიმე მკვლევარი.

ხარისხობრივი კვლევის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ხარისხობრივი კვლევა გამოირჩევა თავისი უპირატესობებით, კერძოდ, შესაძლებელია საკითხების სიღრმისეული და დეტალური შესწავლა. ამავე დროს ასეთი კვლევა ინტუიციური და მოქნილია. მაგალითად, შესაძლებელია ინტერვიუსთვის წინასწარ მომზადებული შეკითხვების მოდიფიცირება, დამატება და წაშლა. უშუალოდ კვლევის დროს სწრაფადვე უნდა მოხდეს რეაგირება, კვლევის ჩარჩოსა და მიმართულების გადახედვა (14).

ზოგჯერ კვლევის შედეგების გაგება გამწვანებულია სპეციფიკური ტერმინებისა და კონცეფციების არცოდნის გამო. ხარისხობრივი კვლევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მკვლევარის პროფესიულ დონეს, მომზადებულობას უშუალოდ ასეთი კვლევების ჩატარებისთვის. ხარისხობრივ კვლევებში მიღებული მონაცემების ანალიზი საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. დაკვირვებით მიმდინარე ხარისხობრივ კვლევებში ყურადსაღებია, რომ მკვლევარის ყოფნამ არ უნდა იქონიოს გავლენა კვლევის მონაწილეებზე - არ აღინიშნოს ე.წ. ჰოუთორნის ეფექტი (Hawthorne effect) (14). ეს და ბევრი სხვა ფაქტორი ხელს უწყობს სისტემური შეცდომის წარმოქმნას, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება კვლევის ხარისხზე (11).

გამოყენება მედიცინაში

ზოგადად, ხარისხობრივი კვლევები ტარდება იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული საკითხი არ არის სრულყოფილად შესაწავლილი და მის შესახებ მცირე ინფორმაცია არსებობს (14). ხშირად ხარისხობრივი კვლევის შედეგად წარმოშობილი ჰიპოთეზები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომავალში განსახორციელებელი რაოდენობრივი კვლევისთვის, როგორც ძირითადი თემების გაცნობის ეტაპი ან ინსტრუმენტის

მომზადების ან გამოცდის ეტაპი (14). კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას შეუძლია შეამოწმოს რაოდენობრივი კვლევის მონაცემების სიზუსტე და აგრეთვე, თუ კი რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია არასაკმარისია და საჭიროებს მონაცემთა სრულყოფას, აღნიშნული კვლევა გვეხმარება საკითხის ღრმად შესწავლაში. ამგვარ კომბინაციას ეწოდება “შერეული მეთოდების” მიდგომა (2,14). ხარისხობრივი კვლევები, ძირითადად, გამოიყენება სოციალური პროცესების და მასში არსებული პრობლემების წარმოსაჩენად. ასეთი კვლევა მიზნად ისახავს, გავიგოთ, თუ როგორ აღიქვამენ კონკრეტულ საკითხს კვლევაში მონაწილე ადამიანები, და აღმოჩენილ იქნას ის ძირითადი ღირებულებები და მოტივაცია, რომელიც მათ ქმედებას უდევს საფუძვლად (14).

ბოლო პერიოდის განმავლობაში ხარისხობრივმა კვლევებმა განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა ჯანდაცვის სფეროში. მათ ფართოდ იყენებენ მედიკოსები, განსაკუთრებით ექიმ-პაციენტის ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად (12). ასეთი კვლევები უებარია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკული ქცევის მიზეზების შესასწავლად. ეს მიდგომა ხშირად გამოიყენება სამედიცინო განათლების სფეროშიც (2). სამწუხაროდ, კლინიკური და ჯანდაცვის მუშაკების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ინფორმირებული ხარისხობრივ კვლევების თაობაზე (12). ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ამ მიმართულებით კვლევების მიზანშეწონილობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Austin Z, Sutton J. Qualitative research: getting started. *Can J Hosp Pharm.* 2014 Nov;67(6):436-40.
2. Cleland JA. The qualitative orientation in medical education research. *Korean J Med Educ.* 2017 Jun;29(2):61-71.
3. Cristancho SM, Goldszmidt M, et al. Qualitative research essentials for medical education. *Singapore Med J.* 2018;59(12):622-7.
4. Denny E, Weckesser A. Qualitative research: what it is and what it is not: Study design: qualitative research. *BJOG.* 2019 Feb;126(3):369.
5. Dew K. A health researcher's guide to qualitative methodologies. *Aust N Z J Public Health.* 2007 Oct;31(5):433-7.
6. Grosseohme DH. Overview of qualitative research. *J Health Care Chaplain.* 2014;20(3):109-22.
7. Hyett N, Kenny A, Dickson-Swift V. Methodology or method? A critical review of qualitative case study reports. *Int J Qual Stud Health Well-being.* 2014;9:23606.
8. Korstjens I, Moser A. Series: Practical guidance to qualitative research. Part 2: Context, research questions and designs. *Eur J Gen Pract.* 2017 Dec;23(1):274-9.
9. Malterud K. Qualitative research: standards, challenges, and guidelines. *Lancet.* 2001 Aug 11;358(9280):483-8.
10. Palinkas LA, Horwitz SM, et al. Purposeful Sampling for Qualitative Data Collection and Analysis in Mixed Method Implementation Research. *Adm Policy Ment Health.* 2015 Sep;42(5):533-44.
11. Pannucci CJ, Wilkins EG. Identifying and avoiding bias in research. *Plast Reconstr Surg.* 2010 Aug;126(2):619-625.
12. Poses RM, Isen AM. Qualitative research in medicine and health care: questions and controversy. *J Gen Intern Med.* 1998 Jan;13(1):32-8.
13. Reeves S, Kuper A, Hodges BD. Qualitative research methodologies: ethnography. *BMJ.* 2008 Aug 7;337:a1020.

14. Safdar N, Abbo LM, et al. Research Methods in Healthcare Epidemiology: Survey and Qualitative Research. *Infect Control Hosp Epidemiol.* 2016;37(11):1272–7.
15. Sawatsky AP, Ratelle JT, Beckman TJ. Qualitative Research Methods in Medical Education. *Anesthesiology.* 2019;131(1):14–22.
16. Stalmeijer RE, Mcnaughton N, Van Mook WN. Using focus groups in medical education research: AMEE Guide No. 91. *Med Teach.* 2014 Nov;36(11):923-39.
17. Tavakol M, Sandars J. Quantitative and qualitative methods in medical education research: AMEE Guide No 90: Part I. *Med Teach.* 2014 Sep;36(9):746-56.

რეზიუმე

სტატია მიზნად ისახავს ხარისხობრივი კვლევების მიმოხილვას, მათი არსის შეცნობას, თუ როდის და რატომ ვიყენებთ ამ ტიპის კვლევებს. ხარისხობრივი კვლევების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა თემისა თუ მოვლენის ირგვლივ დეტალური ინფორმაციის მოპოვება.

ნაშრომში განხილულია კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგიები, როგორცაა ეთნოგრაფია, ნარატიული კვლევა, ფენომენოლოგიური მიდგომა, დასაბუთებული თეორია და სხვა. წარმოდგენილია მსგავსება და განსხვავება რაოდენობრივ კვლევებთან. მოცემულია ხარისხობრივი კვლევების დადებითი და უარყოფითი მხარეები. აგრეთვე, წარმოდგენილია მიმდინარე გამოყენების სფეროები და სამეცნიერო კვლევის ასეთი მიდგომის აქტუალობა.

Phagava H, Matashvili M, Mchedlishvili I

Peculiarities of Qualitative Studies

Department of Epidemiology and Biostatistics, Tbilisi State Medical University

The purpose of this paper is to present qualitative research, to understand its nature, when and why we use this type of research. Through qualitative research, it is possible to get detailed information about different topics or events, study the reasons and background.

The paper discusses qualitative research methods and methodologies, such as ethnography, narrative research, phenomenology, grounded theory and many more. The qualitative research is being compared to the quantitative research. Advantages and disadvantages of qualitative research are listed. There are also presented areas of current application and the relevance of such scientific approach.